



ს/კ: 406224072
 თბილისი, არტურ ლეისტის ქ-11
 ტელ: 591 447700; 599 605544

”25“ ივლისი 2018 წელი
 დამტკიცებულია სსსფ-ს პირველი
 ვიცე-პრეზიდენტის დავით
 მჭედლიშვილის

მიერ _____

შეჯიბრების დებულება

ბათუმის თასი ფიგურული (ჩქაროსნული) სლალომი 28 ივლისი 2018

- სპორტული ღონისძიების სტატუსი: მოყვარულთა შეჯიბრება
- სპორტული ღონისძიების ჩატარების გეგმიური თარიღი: 28 ივლისი 2018; 14:00 სთ
- სპორტული ღონისძიება ტარდება „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (სსსფ / GASF) - მიერ დამტკიცებული შესაბამისი სახეობის შეჯიბრის რეგლამენტის თანახმად, სსსფ-ს სპორტული ღონისძიებების ეროვნული კალენდარის გათვალისწინებით.
- სპორტული ღონისძიება ლიცენზირებულია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ / GASF) მიერ და ოფიციალურად შეტანილია ეროვნულ სპორტულ კალენდარში

სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა

- ბათუმის მერია
- ბათუმის საკრებულო
- ბათუმის სპორტული ცენტრი

1. შეჯიბრის პროგრამა

- 1.1 შეჯიბრის ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩენსკების ქუჩა, სასტუმრო „ეიფორია ბათუმი“-ს პარკინგის ტერიტორია.
- 1.2 შეჯიბრების ჩატარების თარიღი: 28 ივლისი 2018 წელი.
- 1.3 შეჯიბრში მონაწილეთა რეგისტრაცია და ტექნიკური შემოწმება:
 - 11:30-13:30 მონაწილეთა რეგისტრაცია და ტექნიკური შემოწმება
 - 13:40 -13:55 შეჯიბრის გახსნის ოფიციალური ცერემონია
 - 14:00- 19:30 შეჯიბრის მიმდინარეობა (რბოლა)
 - 20:00-20:30 დაჯილდოების ცერემონიალი და შეჯიბრის დახურვა.

2. შეჯიბრის ორგანიზაცია და ოფიციალური პირები

2.1 შეჯიბრის ორგანიზატორი კომპანია:

შპს „რალი ქლავ ჯორჯია“

ს/კ: 406224072

თბილისი, არტურ ლეისტის ქ-11

ტელ: 591 447700; 599 605544

E-mail: customer@rallyclubgeorgia.com

www.rallyclubgeorgia.com

დირექტორი: ვიქტორ თოდაძე

(ტელ: 591 447700)

კოორდინატორი: ალექსანდრე ბაგრამოვი

(ტელ: 599 605544)

2.1 ოფიციალური პირები:

- შეჯიბრის ხელმძღვანელი / დირექტორი/მთავარი კომისარი: ვიქტორ ბაგრამოვი (ტელ: 595 308201)
- დამკვირვებელი სსსფ-დან: ზურაბ ბაბუციძე (ტელ: 599 505165)
- შეჯიბრის უსაფრთხოების კომისარი: ნიკოლოზ აკოპოვი (ტელ: 591 447779)
- მთავარი ტექ კომისარი/ტრასის მთ. კომისარი: დავით ლალაშვილი (ტელ: 599 122272)
- მონაწილეთა რეგისტრატორი / მდივანი: სერგო ბაგრამოვი (ტელ: 577 045035)
- მთავარი ხრონომეტრაჟისტი: თედო ბუჯიაშვილი (ტელ: 599 553918)

3. შეჯიბრების ტრასა

3.1 სპორტული ღონისძიება ტარდება საერთო საგზაო მოძრაობიდან დახურულ მოედანზე:

- სასტუმრო „ეიფორია ბათუმი“-ს პარკინგის ასფალტირებული მოედნის მონაკვეთი (80 მ X 60 მ).

3.2 შეჯიბრის ხანგრძლიობა: 14:00 – 19:30 (5 საათი და 30 წუთი).

4. შეჯიბრების პირობები.

4.1 შეჯიბრი ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული ფიგურული სლალომის და შესაბამისი ტექნიკური რეგულაციების მიხედვით AM და PRO ჯგუფების კლასებში.

- მოყვარულთა კლასი (სტანდარტული ავტომობილები, წინა უკანა და კვადრო) აბსოლიტური.
- პროფი კლასი (სპორტული ავტომობილები, წინა უკანა და კვადრო) აბსოლიტური.

4.2 მონაწილეს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს როგორც ავტომობილის მონაცემების შესაბამის ან „ზედა“ კლასში.

4.3 ორგანიზატორს უფლება აქვს მონაწილეს შეუცვალოს გაცხადებული კლასი არ აკმაყოფილებს გაცხადებული კლასის ტექნიკურ მონაცემებს და თავად მიანიჭოს საასპარეზო კლასი.

4.4 მონაწილე ჩათვლას იღებს მის მიერ გაცხადებულ კლასში.

4.5 იმ შემთხვევაში თუ გაცხადებული კლასი არ შედგა, მაშინ მონაწილე ავტომატურად გადადის „ზედა“ კლასში.

4.6 კლასი შემდგარად ითვლება, თუ მასში რეგისტრაცია გაიარა არანაკლებ 4 მონაწილემ.

4.7 ერთი ავტომობილით, ერთ კონკრეტულ კლასში ასპარეზობის უფლება აქვს რამოდენიმე მონაწილეს. მონაწილეთა რეგისტრაციის დროს თითოეულ მონაწილეს გადაეცემა სასტარტო ნომერი, რომელიც მიმაგრებული უნდა იქნეს ავტომობილის უკანა გვერდით მინებზე. თუ ერთი ავტომობილით მონაწილეობს რამდენიმე მონაწილე, მაშინ ავტომობილზე უნდა განთავსდეს მათი სასტარტო ნომრები.

5. შეჯიბრების წესები

- 5.1 შეჯიბრი მოიცავს ორი სახეობის ფიგურას (დანართი-1 და დანართი-2).
- 5.2 მონაწილე გადის ყველა სავალდებულო ფიგურას ერთხელ და მისი საბოლოო შედეგი დგინდება ყველა სავალდებულო დისტანციის გავლის დროის ჯამით.
- 5.3 მონაწილის მიერ ფიგურის გავლის დრო აითვლება სპეციალური ელექტრო მოწყობილობით (ფოტო-ფინიშით). დროის ათვლა იწარმოებს „წუთი-წამი-წამის მესედი“ სიზუსტით. დროის შედეგი არ მრგვალდება.
- 5.4 შეჯიბრის პერიოდში, მონაწილე ვალდებულია გაიაროს ორივე ფიგურა. თუ მონაწილემ რაიმე მიზეზის გამო ვერ მოახერხა ერთერთი ფიგურის გავლა, მაშინ მისი ერთი ფიგურის გავლით ნაჩვენები შედეგი ბათილია და მონაწილე ავტომატურად მოიხსნება შეჯიბრიდან.
- 5.5 მონაწილე „სტარტზე“ პოზიციას იკავებს მხოლოდ „შეჯიბრის ოფიციალური პირის“ მოწვევის შემდეგ და სტარტს იღებს მხოლოდ „სტარტ-ფინიში“ მსაჯის მითითებით.
- 5.6 „სტარტ-ფინიში“ მსაჯის მითითებამდე სტარტის აღება ჩაითვლება „ფალშ-სტარტად“ და მონაწილე ვალდებულია სტარტი აიღოს ახლიდან. თუ „ფალშ-სტარტი“ განმეორდა, მაშინ მონაწილე დაჯარიმდება 5 წამიანი სანქციით, რომელიც დაემატება მის მიერ ფიგურის გავლის დროის მაჩვენებელს.
- 5.7 მონაწილემ უნდა გაიაროს თითოეული ფიგურა, ამ ფიგურის ნახაზის შესაბამისი ტრაექტორიით და არ შეეხოს ფიგურის „კონუსებს“. დისტანციის გავლის დროს საკონტროლო კონუსზე შეხების შემთხვევაში მონაწილეს ეწერება ნაჩვენებ დროს დამატებული 2 წამი.
- 5.8 დისტანციის არასწორად გავლის შემთხვევაში კონკრეტულ მონაწილეს ეწერება კონკრეტულ ჩათვლით გარბენზე, რბოლაში მონაწილე მძღოლებს შორის ყველაზე ცუდ დროს დამატებული 5 წამი.
- 5.9 მონაწილე სავალდებულო დისტანციას გადის მხოლოდ ერთხელ. გამახურებელ ან გასაცნობ წრეზე გასვლა ისჯება რბოლიდან დისკვალიფიკაციით.
- 5.10 ორგანიზატორი შეჯიბრის დაწყებამდე გააცნობს მონაწილეებს თითოეული ფიგურის ნახაზს, რომელიც გამოკრული იქნება შეჯიბრის ოფისთან.
- 5.11 შეჯიბრის დაწყებამდე (თითოეული ფიგურის) ორგანიზატორის წარმომადგენელი გააკეთებს თითოეული ფიგურის საჩვენებელ გავლას.

6. პასუხისმგებლობა მატერიალური ზარალის შემთხვევაში

- 6.1 პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და ასევე მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში, ეკისრებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

7. მონაწილეები

- 7.1 შეჯიბრზე რეგისტრაციისას, მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
 - ავტომობილის მართვის მოწმობა, მინიმუმ “B” კატეგორია.
 - ავტომობილის ტექნიკური პასპორტი.
- 7.2 შეჯიბრში მონაწილეობის გადასახადი შეადგენს 30 ლარს (ოცდაათი ლარი), რომელიც მონაწილემ უნდა გადაიხადოს შეჯიბრში მონაწილეობის რეგისტრაციისას.

- 7.3 შეჯიბრი ატარებს „ღია ტურნირის“ სახეს და მასში მონაწილეობა შეუძლია უცხო ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ვისაც აქვს მართვის მოწმობა.
- 7.4 დაშვებულია ავტომობილის ტექნიკური შეკეთება და საწვავით გამართვა შეჯიბრის ტერიტორიის გარეთ.
- 7.5 შეჯიბრის მონაწილე, შეჯიბრის მსვლელობის დროს ვალდებულია იასპარეზოს შეკრული „უსაფრთხოების დამცავი ღვედით“

8. მონაწილე ავტომობილები

- 8.1 შეჯიბრზე დაიშვება ყველა მარკისა და მოდელის (წინა, უკანა და კვადრო წამყვან თვლიანი) მსუბუქი ავტომობილები გარდა მინივენის, მაღალი გამავლობის SUV და მიკროავტობუსებსა.
- 8.2 შეჯიბრში მონაწილე ავტომობილი ადჭურვილი უნდა იყოს ვარგისიანი „უსაფრთხოების დამცავი ღვედით“.
- 8.3 PRO (პროფი) კლასში დაიშვება ნახევარ-სლიკის ტიპის საბურავები.
- 8.4 ტექნიკური შემოწმების დროს, ის ავტომობილები რომელთაც დაუდგინდება აგრეგატებიდან ზეთის, საწვავის ან სხვა რაიმე ტექნოლოგიური სითხის წვეთა გზის საფარზე ასევე საჭის მექანიზმის ფოლხვის გაზრდილი მაჩვენებელი, არ დაიშვებიან შეჯიბრზე.

9. პროტესტები

- 9.1 პროტესტები მიიღება მხოლოდ მონაწილე პირისგან წერილობითი სახით შეჯიბრის ხელმძღვანელობის სახელზე შეჯიბრის მსვლელობისას და წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 15 წუთის განმავლობაში.

10. დაჯილდოება

- 10.1 მოყვარულთა კლასი ჯილდოვდება:
 - 10.1.1 პირველი ადგილი: თასი, სიგელი, მედალი და ფასიანი საჩუქარი
 - 10.1.2 მეორე ადგილი: თასი, სიგელი, მედალი და ფასიანი საჩუქარი
 - 10.1.3 მესამე ადგილი: თასი, სიგელი, მედალი და ფასიანი საჩუქარი
- 10.2 პროფი კლასი:
 - 10.2.1 პირველი ადგილი: თასი, სიგელი, მედალი და ფასიანი საჩუქარი
 - 10.2.2 მეორე ადგილი: თასი, სიგელი, მედალი და ფასიანი საჩუქარი
 - 10.2.3 მესამე ადგილი: თასი, სიგელი, მედალი და ფასიანი საჩუქარი